

4. ვეტერინარული პრეპარატის სახელმწიფო რეგისტრაციის აღიარებით რეჟიმით რეგისტრაციისას, რეგისტრაციის მაძიებელმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) ვეტერინარული პრეპარატის ინსტრუქციის ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი და ინსტრუქციის ორიგინალი;
- ბ) ვეტერინარული პრეპარატის სტანდარტული შეფუთვა, მარკირება ფერადი ილუსტრირებული გამოსახულების ან ელექტრონული ვერსიის სახით;
- გ) სხვა ქვეყნის ან სახელმწიფოთაშორის ვეტერინარული პრეპარატის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს მიერ ვეტერინარული პრეპარატის შესაბამის ბაზარზე დაშვების ვადის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დ) ვეტერინარული პრეპარატის შესაბამის ბაზარზე დაშვების უნიკალური (ავტორიზაციის) ნომერი;
- ე) სხვა ქვეყნის ან სახელმწიფოთაშორის ვეტერინარული პრეპარატის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატი (CPP) ან ამ სერტიფიკატის ექვივალენტური დოკუმენტი, რომელიც შეიძლება გაცემული იყოს საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებული სხვა ქვეყნის ან სახელმწიფოთაშორის ვეტერინარული პრეპარატის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს კონტროლს დაქვემდებარებული ნებისმიერი ბაზრისთვის; ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატის (CPP) ან ამ სერტიფიკატის ექვივალენტური დოკუმენტის ნაცვლად, დასაშვებია წარდგენილ იქნეს მათი სათანადოდ დამოწმებული ასლები;
- ვ) ანალიზის მეთოდები, რომლებიც შეიძლება ამობეჭდილი იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან (ფარმაკოპეიდან) ამ წყაროს მითითებით;
- ზ) ვეტერინარული პრეპარატის ნიმუში - 2 სტანდარტული შეფუთვა შესაბამისი ხარისხის სერტიფიკატით.